ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშანი – „ურთიერთქმედებისათვის“ გადაეცა

2021 წლის 3 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიღებების სახლში მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონსა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრ ს. ვ. ლავროვს შორის შეხვედრა შედგა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკის უწყების მეთაურმა სსკგ-ს თავმჯდომარეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნიშანი „ურთიერთქმედებისათვის“ გადასცა.

დაჯილდოება მიეძღვნა 2021 წელს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების დაარსების 75 წლისთავის აღნიშვნასა და მიტროპოლიტ ილარიონის 55 წლის საიუბილეო თარიღს.

„ჩვენი შეხვედრა მიმდინარეობს თქვენი იუბილის გასვლიდან მალევე, – აღნიშნა, ს. ვ. ლავროვმა. – იმ მილოცვების დამატებით, რომლებიც პირადად მე, და ჩემმა კოლეგებმა გამოვაგზავნეთ თქვენი მისამართით, ჩვენ გვინდა დამატებითად ვაღიაროთ თქვენი წვლილი საზღვარგარეთ თანამემამულეებთან კავშირის განვითარებაში, მრავალეროვნული რუსეთის ფედერაციის ხალხის ტრადიციული სულიერი და მორალური ფასეულობების დაცვაში, ჩვენს დიპლომატებთან თანამშრომლობაში, სხვადასხვა მოედანზე ქვეყნის ინტერესების დაცვაში, მათ შორის გაეროს ხაზით, ევროპის საბჭოსა და სხვა მრავალმხრივ ორგანიზაციებში“.

მოახსენა რა მადლობა თბილი მილოცვისთვის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა განსაკუთრებით აღნიშნა რუსეთის სსს-ის და სსკგ-ს შორის ურთიერთობის მნიშვნელობა: „ძალიან ხშირად შემხვედრი გამოწვევები ჩვენთვის საერთოა. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ გვაქვს შესაძლებლობა „შევაჯეროთ საათები“ მუდმივ საფუძველზე: გვაქვს კონსულტაციის მექანიზმი, მუშაობს სამუშაო ჯგუფი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილებას შორის. ეს სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, როგორც გახსოვთ, უწმინდესი პატრიარქის კირილეს ინიციატივით, როდესაც ის იმყოფებოდა სსკგ-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე, და ჩვენ ვაგრძელებთ მაშინ დაწყებულ საქმეს“. იერარქმა მადლობა მოახსენა ს. ვ. ლავროვს მრავალწლიანი თანამშრომლობისთვის, გამოხატა მისი მომავალი განმტკიცებასა და განვითარების იმედი.

მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სსკგ-ს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილეებმა ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ, დეკანოზმა ნიკოლოზ ბალაშოვმა და არქიმანდრიტმა ფილარეტმა (ბულეკოვი), ასევე შორეული საზღვარგარეთის საქმეთა მდივანმა დეკანოზმა სერგი ზვონარიოვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი გ. ი. ასკალდოვიჩი, სსს-ის ფედერაციის სუბიექტებთან, პარლამენტთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კავშირების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კ. პ. კოჟანოვი, სსს-ის ფედერაციის სუბიექტებთან, პარლამენტთან და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან კავშირების დეპარტამენტის, რუსეთის ფედერაციის ძირითად რელიგიურ ორგანიზაციებთან კავშირის განყოფილების გამგე მ. მ. მელეხი და ამ განყოფილების თანამშრომელი ო. ვ. შორი.

დიალოგის შემდგომი მიმდინარეობისას, მისმა მონაწილეებმა ორმხრივი ინტერესების შემცველი საკითხები განიხილეს.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87955/